

ერთი ტიპის ტოპონიმებისათვის მეგრულში

სამურზაყანოსა და სამეგრელოს ტერიტორიაზე უხვად არის წარმოდგენილი ჰიბრიდული ტოპონიმები, სადაც კომპოზიტებსა თუ სინტაგმებში ერთი სიტყვა აფხაზურია, მეორე კი – მეგრული, ან ანთროპონიმიტაა გადმოცემული. ეს ვითარება ბუნებრივად ითვლება ბილინგვურ გარემოში.

ამ ტოპონიმებზე დაკვირვება არაერთი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ტერმინებით, რომლის ერთ-ერთ ნაწილად მესაქონლეობის ლექსიკა გვევლინება.

სამურზაყანოში ხშირად გვხვდება ჰიბრიდული ტოპონიმი, სადაც ერთ-ერთი შემადგენელი ინგრედიენტი არის აფხაზური **ა-ძაგა** „მუჯა“ (ჯანაშია 1954: 373). ეს უკანასკნელი, საბას განმარტებით, „მლაშობი, მლაშე ადგილია, სადა ნადირნი სალოკელად მივლენ“ (საბა 1991: 532).

აფხაზური ტერმინი წარმოდგენილია კომპოზიტში, სინტაგმაში – მსაზღვრელად და საზღვრულად: კომპოზიტი **ჯოლორძაგა** – სამოვარი აკიბოს მთაზე (სახოკია 1985: 394; ცხადაია 1999: 230) შედგება მეგრული **ჯოლორი** („ძაღლი“) და აფხაზური [ა]-**ძაგა**-სა-გან („მლაშობი“).

ა-ძაგა მსაზღვრელადაა წარმოდგენილი ტოპონიმებში **ძაგაშ სუკი** (ზედმ. „მუჯას სერი“ – სერი რეჩხიწყარის მარცხენა მხარეს), **ძაგაშ ღალ** (ზედმ. „მუჯას ღელე“ – სოფ. რეჩხი). ამ შემთხვევებში აფხაზური სიტყვა ზოგადობის აპრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო სინტაგმაში

დიდი ამაგა („დიდი მუჯა“ – ოქუმწყარის შენაკადი ოქუმაბსთაში) ზოგადობის აფიქსით (ტოპონიმები მოხმობილია პ. ცხადაიას სტატიიდან „ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურტერიტორიულ საზღვარზე“, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999).

ცალკე შესწავლას მოითხოვს აფხაზურიდან შეთვისებულ ტერმინებში ზოგადობის აფიქსის წარმოდგენის საკითხი. ვფიქრობთ, პრობლემის ამ მიმართულებით რკვევა ფასეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს სესხების ქრონოლოგიისა და პირობების შესწავლის საქმეში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური **ა-თფფ** „კარავი, მწყემსის სადგომი“ (ჯანაშია 1954: 130) მეგრული **თიფუ**-დან არის წარმომდგარი. შესაბამისად, ტოპონიმები **ბიშხუტითფფ** „ბიშხუტის სადგომი“ – ტყე-ფერდობი სოფ. ატიშადუში, **უთრათფფ** – სამოვარი ანარაში (სამურზაყანოს მთა) ჰიბრიდულ კომპოზიტებად განიხილება (ცხადაია 1999: 227).

ჩვენ მცირედ განსხვავებულად წარმოგვიდგენია ამ ლექსემის წარმომავლობა (ბუკია 2002: 53).

მეგრული **თიფუ** პოლისემანტიკური სიტყვაა და ნიშნავს „თივას“ (ყიფშიძე 1914: 243) და „მწყემსის ბინას“ (სახოკია 1985: 394) აგრეთვე „ადგილს, სადაც ცხვარი დგას“ (ჯავახიშვილი 1986: 216), „თეოს“ – **თიფუს უძახუნა კარემ მუკი-მუკი ორინჯიში გააჩერებელს** „თიფუს ეძახიან კარვის ირგვლივ საქონლის გასაჩერებელს“ (ქაჯაია 2002: 53). **თივის** შესატყვისად აფხაზურს ქართულიდან შეთვისებული **ა-თა** აქვს (ჯანაშია 1954: 131). აქ სესხების მიმართულება

უეჭველია, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულ **თიფუსა** და აფხაზურ **ა-თფფ**-თან დაკავშირებით. დღემდე დადგენილი სესხებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენთვის ეს სიტყვა მთის ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ტერმინია (ყველა ინფორმატორი ამ ტერმინს სააფუნო საძოვრებს უკავშირებს). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ლექსემა ვერ აისახა ვერც ერთ მეგრულ ლექსიკონში. მეტიც, ბარის სამეგრელოში ტერმინს ამ მნიშვნელობით არ იცნობენ. ვვარაუდობთ, რომ თ. სახოკიას მიერ მოხმობილ **თენგიზთიფში** (სახოკია 1985: 394) **თიფი** აფხაზური წარმოშობისაა. საგულისხმოა, რომ აფხაზურში ტერმინი გარდა ზემოთ აღნიშნული სემანტიკისა, კერძოდ, მწყემსის სადგომისა, ნიშნავს „ადგილს, სამსახურს“ (ჯანაშია 1954: 130). ტერმინი წარმოდგენილია აზაზურ ენაშიც და ნიშნავს „ქოხს, რამის ადგილს“ (კვარჭია 1981: 113).

ქართის, საქონლის დასამწყვდევად შემოღობილი ადგილის აღმნიშვნელი **აფთარა**, **აფთურა**, **აფთერა** (ქაჯაია 2001: 199) აფხაზური წარმოშობისაა და ამოსავალია **ააფთრა** „მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“ (ჯანაშია 1954: 6). წინა ვითარების **ნააფთერ/ნააფთრ** ფორმაა წარმოდგენილი ტოპონიმებში **კუბელიმ ნააფთერ** – მინდორი ოქუმაბსთაში, **კვრებიმ ნააფთრ** – სამოვარი აქედერაში (ცხადაია 1999: 229). პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი პირსახელია, მეორეში კი – ქართული კრავის შესატყვისი მეგრული **კვრები**.

ყველის ჩასაწყობი ხის ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვა მეგრულში ფონეტიკური ვარიანტების სახით გვხვდება: **აზშირა//აფშარა//აფშირჰა//აფშიქა** (ქაჯაია 2001: 164). ამოსავალია აფხაზური **ა-ფშერჰა** „სარქვანი. მთლიანი ხისგან

გამოთლილი ცილინდრისებური ჭურჭელი“ (ჯანაშია 1954: 284). ეს ტერმინი მსაზღვრელად გვხვდება ტოპონიმებში: **აფშირაშ დენადგემ** ზედმ. „აფშირას დანადგამი“, ადგილი, სადაც აფშირა დადგეს“, **აფშირაშ სუკი** ზედმ. „აფშირას სერი“; **აფშირაშ გინალგ** ზედმ. „აფშირას გადასასვლელი“. ეს უკანასკნელი უღელტეხილის სახელია. ტოპონიმები ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი სამურზაყანოს მთაში (ცხადაია 1999: 229).

აფხაზურიდანვეა შეთვისებული მეგრულში **აგვარა//ანგვარა** „საქონლის ღია სადგომი“ (ყიფშიძე 1914:192; ელიავა 1997: 11): აფხაზურში მას **ა-გარა** ფორმა აქვს და ნიშნავს „უოს“. ამ ფორმის უბიხური შესატყვისია **გაღა** (კვარჩია 1981: 109). შეიძლება გვევარაუდა, რომ აფხაზური (ა)-**გარა** ქართული **გორა** სიტყვისაგან მომდინარეობს **გო** მარცვლის ლაბიალიზაციით და **ა** ხმოვნის გაჩენით. მითუმეტეს, მეგრულში **გორა გვალაა-ა**. სემანტიკა აქ დაბრკოლებას ვერ ქმნის. არქ. ლამბერტის აღწერით აფხაზები XVI ს-ის I ნახევარში ცხოვრობდნენ თხრილშემოვლებულ გორებზე პატარ-პატარა ჯგუფებად (ლამბერტი 1938: 168). თუმცა ამ ვარაუდს დაბრკოლებას უქმნის აფხაზურ-უბიხური **რ : ღ** შესატყვისობა, რომელიც ძირეულ, არანასესხებ მასალაში დასტურდება.

აგვარა//ანგვარა ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს აფხაზური, მაგრამ მეგრულში ორივე ფორმა აშკარად აფხაზურიდანაა ნასესხები, რაზეც აფხაზურისთვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის **ა-** პრეფიქსის არსებობა მიანიშნებს. წ. ბჟანიას მოჰყავს პარალელები:

მეგრული აგვარა „საქონლის სადგომი“, გურული აგვართა „მწყემსის ქოხი“, ადიღური გურთაჲ, აგრეთვე რუსული გურთი „მსხვილფეხა საქონლის ჯოგი“ (ბჟანია 1962: 104). ეს ფორმა გვაქვს სვანურშიც აგორჲ (ლენტ.) „საქონლის ბაკი“ (თოფურია 2000: 25).

ტერმინი მეგრულში იმავე მნიშვნელობითაა შემოსული და ნიშნავს საქონლის შესადენსა და დასამწყვდევს. ვ. შამილაძის მითითებით, მეგრული მეჯოგე-მესაქონლეთა საკარვო მეურნეობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო საქონლის შესარეკი დიდი ზომის აგვარა. ი. ყიფშიძე მეგრული აგვარა-სთვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს აფხაზურ აბოურა-ს (ყიფშიძე 1914: 192), რაც არ არის მართებული. მეგრულისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის მიხედვით რიგ შემთხვევაში უკანაენისმიერი გ-ს წინ განვითარებულია ნ სონორი: აგვარა > // ანგვარა (შდრ. ქართ. მაგარი > მეგრ. მანგარი; ქართ. უნაგირი > მეგრ. უნანგირი).

ა-გ^არა-სგან არის მიღებული აგვართა „ჯოგი“ (ჭარაია 1997: 33). -თა სივრცის, მოზღუდული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინია აფხაზურში. თავდაპირველი სემანტიკა იქნებოდა „შემოღობილი ადგილი“, შემდეგ „ჯოგი“, რომელიც ახკარაში, შემოღობილში იმყოფებოდა, აქედან კი, ზოგადად „ჯოგი“. -თა სუფიქსი ამგვარი ფუნქციით გამოიყენება აფხაზურ სახელებში (შდრ. აუნგ „სახლი“ > აუნათა „ოჯახი, სახლობა“). ტერმინი წარმოდგენილია აფხაზურის მონათესავე ენებშიც: აბაზ. გ^ართა, ადიღ. გ^ართ ყაბარდ. გ^ართჲ „ჯოგი“ (შაყრილი 1968:

67). ვ. კვარჭია აფხაზურ სიტყვას უკავშირებს მეგრულსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებულ ქართა // ქალტა-ს, რაც არ არის დამაჯერებელი.

აგვართა აფხაზურიდან შემოსულია მეგრულში და გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა (აგვართა ორინჯი „ჯოგი, მრავალი საქონელი ერთად“), ხალხის კრებულის, ბრბოს მნიშვნელობითაც გამოიყენება. ხშირად გვხვდება მეტათეზირებული ფორმით: აგვართა >//არგვართა (ყიფშიძე 1914: 196). სიტყვა მეგრულის საშუალებით შესულია გურულ დიალექტში და ნიშნავს მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულო ქოხს მთაში ან ტყეში (დლონტი 1974: 22).

აგვართადან მიღებული წინა ვითარების ნააგვართ გვხვდება ტოპონიმში ხუტუმ ნააგვართ „სახნავი ერისწყლის მარჯვენა სანაპიროზე“ (ცხადაია 1999-ა: 229). ხუტუ პირსახელია. იგივე აგვართა გვაქვს გურიაში დაცულ ტოპონიმში აგვართაის ნოყი – სამოვარი სოფ. გვიმრალაურში (ძნელაძე 1998: 196).

მწყემსურ ლექსიკას უკავშირდება აფხაზური წარმომავლობის აკარა//ახკარა „შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონელი ჰყავთ“. ახკარა//ხეკარა „საქონლის სადგომად შემოღობილი ადგილი“ (ქაჯაია 2001: 204). ხაკარა //ხეკარა//ხეკარა „შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონელი ჰყავთ“ (ქაჯაია 2002-ა: 509, 528).

ეს ფორმები მეგრულს აფხაზურიდან აქვს შეთვისებული: ბ. ჯანაშიას განმარტებით, ახკაარა „შემოღობილი ადგილია, რომელიც ეზოს აკრავს“ (ჯანაშია 1954: 415), წ. ბჟანიას მიხედვით კი „ცხენების ღია სადგომია“ (ბჟანია

1962: 30, 102). მეგრულში შემოსვლის შემდეგ ვარიანტებმა ჯერ ა ხმოვანი დაკარგეს -აა- კომპლექსში, შემდეგ კი ცალკეულ შემთხვევებში -ხკ- კომპლექსიც გამარტივდა →კ. ვარიანტები დასტურდება მეგრულ ტოპონიმიაში: **ახკარა** – ხევი სოფ. ოდიშში; **ახკვრა** – ფერდობი სოფ. ფახულან-ში; **ხკვარა//ფარნაშ ხკვარა** – სამოვარი სოფ. ლიის საზღვართან. სამურზაყანოს ტოპონიმიაშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, დასტურებულია რამდენიმე **ახკარა** და **ნაახკარ** (ცხადია 1999-ა: 16).

მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში გვხვდება აფხაზურიდან შეთვისებული **აზმახი** „გუბე, ტბორი, გამოყენებულია საქონლის სარწყულებლად სამეგრელოს მთიანეთში“ (ელიავა 1997: 12; ცხადია 1999: 12), **აძმახი//აძმახე** „გუბე“ (ქაჯაია 2001: 204).

ამოსავალია აფხაზური: **ა-ძმახ** „ჭაობი, ჭანჭყობი“ (ჯანაშია 1954: 375). ნიშანდობლივია, რომ ტერმინი მთიან სამეგრელოშია გავრცელებული, სადაც აშკარად იკვეთება მთის ლანდშაფტთან დაკავშირებული შეთვისებული აფხაზური ლექსიკის დომინანტი.

სიტყვა ხშირად გვხვდება ჰიბრიდულ ტოპონიმებში **ფართო აძმახი** – სამოვარი სამურზაყანოს მთაში, **დიდაზმახი** – გუბე ოფუჯესა და ოჭაკეში (სამურზაყანოს მთა), **ჭუბურაძმახ(ი)** ზედმ. „წაბლის გუბე“ – გუბე ბულონასუკსა და ოისგრეს შუა (ცხადია 1999: 230).

ბუნებრივია, რომ ჰიბრიდული ტოპონიმები სამეგრელო-სამურზაყანოს ტერიტორიაზე, ანუ აფხაზთა და

მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე გვხვდება. ამის ახსნა მარტივია, მაგრამ საგულისხმოა, რომ აფხაზურშემადგენლიანი ტოპონიმები (ჰიდრონიმები) გვხვდება აღმოსავლეთისკენ, ზემო სამეგრელოში, მარტვილის რეგიონში: **ეკუხონაშ აზმახი** ზედმ. „აღმართის ტბორი“ (ცხადაია, 1999-ბ, 206), **ტოტოიაშ აძმახ** (იქვე, 243), **შვამახიაშ აძმახ** (იქვე, 250), **წიფერაშ აზმახ** (იქვე, 255), **ჯვარიშ აძმახ** (იქვე, 262), **სორადილი აძმახი** ზედმ. „დამპალი გუბე“ (იქვე, 264). მსაზღვრელად ხან პირსახელია გამოყენებული (**ტოტოია**, **შვამახია**), ხან არსებითი სახელი (**ჯვარი**), ხანაც მიმღეობა (**სორადილი**).

მნიშვნელოვანია ამ ტოპონიმთა გავრცელების არეალი. ამ შემთხვევაში მეგრელთა და აფხაზთა თანაცხოვრებაზე ვერ ვილაპარაკებთ. უპრიანია გვეფიქრა, რომ ეს ტერმინები მომთაბარე მწყემსების ჩამოტანილია, რომლებსაც თავიანთ ტრანსჰუმანსურ მარშრუტებზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზ მწყემსებთან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აფხაზურიდან შეთვისებული ლექსიკა ძირითადად სწორედ მთის ლანდშაფტსა და მესაქონლეობას უკავშირდება.

მითითებული ლიტერატურა:

1. ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми
2. ბუკია 2002 – მ. ბუკია, კოლხურ-აფხაზური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობის ასახვა

- მეგრულ ტრანსკუმანსურ ლექსიკაში, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი
3. ელიავა 1997 – გ. ელიავა, 1997, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი
 4. თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
 5. კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми
 6. ლამბერტი 1938 – არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი
 7. საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I თბილისი
 8. სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი
 9. ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი
 10. ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
 11. ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი
 12. ღლონტი 1971 – ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბილისი
 13. შაყრილი 1968 – С. Шакрыл, Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми
 14. ცხადაია 1999 – პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვრებზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი
 15. ცხადაია 1999-ა – პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან I, თბილისი

16. ცხადაია 1999-ბ – პ. ცხადაია, ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია, საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II, თბილისი
17. ძნელაძე 1998 – რ. ძნელაძე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია გურიის ტოპონიმიაში, ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი
18. ყიფშიძე 1914 – ი. ა. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ
19. ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
20. ჯავახიშვილი 1986 – მასალები საქართველოს შინა-მრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბილისი
21. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ქართველური ონომასტიკა III, 2007, გვ. 47-52